



გრეგორი კრავჩუკი

პენსილვანიის უნივერსიტეტი, აშშ

Greg Krawczyk

Pennsylvania State University, USA

დოქტორ გრეგ კრავჩუკი გახლავთ ხეხილის ენტომოლოგი, ამჟამად მუშაობს პენსილვანიის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენტომოლოგიის დეპარტამენტში. მისი კვლევა და პრაქტიკული საქმიანობა მიმართულია ხილის ინდუსტრიის

გაუმჯობესებისაკენ მავნე მწერების მენეჯმენტის უახლესი ბიოლოგიური და ტექნოლოგიური მეთოდების წარმოებაში დანერგვის გზით, რათა ხილის პროდუქცია იყოს მდგრადი და მომგებიანი. მისი ძირითადი ინტერესების სფეროში შედის მავნებლების ინტეგრირებული მართვა, ინსექტიციდებისადმი რეზისტენტულობა, სასარგებლო მწერების და პოლინატორების კონსერვაცია. ის მრავალი კვლევითი და პრომოციული ხასიათის პუბლიკაციის ავტორი და თანაავტორია. მისი პუბლიკაციების ძირითადი თემებია ხილის ორგანული წარმოება, გამრავლების შეწყვეტის ტაქტიკის შესწავლა და მენეჯმენტის ალტერნატიული მეთოდების შეფასება. ის ხშირად მონაწილეობს ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, მიღებული აქვს მრავალი ჯილდო მეცნიერებაში გაწეული ღვაწლისათვის.

2010 წლიდან დოქტორ კრავჩუკი ჩართულია ინვაზიური მავნე მწერის - აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის მეთოდების გამომუშავებაში, ის მონაწილეობდა ფაროსანას საწინააღმდეგო ინსექტიციდების გამოყენების ღონისძიებების განხორციელებაში, ასევე ინსექტიციდის გამოყენების შემცირებაზე მიმართული მართვის ალტერნატიული მეთოდების (ზღურბლოვანი დამუშავება, „მოიტყუე-გაანადგურე“ ტაქტიკა, მავნებლებთან ინტენსიური მონიტორინგი) შემუშავებაში. მისი კვლევის შედეგები იმთავითვე იქნა მიწოდებული ფერმერებისათვის ვებ-რესურსებში პუბლიკაციების მეშვეობით. 2016 წლიდან საერთაშორისო აქტიობის ფარგლებში დოქტორ კრავჩუკმა დაიწყო უშუალო თანამშრომლობა ქართველ მკვლევარებთან და სპეციალისტებთან აზიური ფაროსანას საქართველოს სოფლის მეურნეობაზე ზეგავლენის შეფასების და განსაზღვრის ოპტიმალური მეთოდების ძიების მიზნით.

Dr. Greg Krawczyk is an extension tree fruit entomologist in the Department of Entomology at The Pennsylvania State University. His research and extension programs are dedicated towards assisting fruit industry in practical adoption and integration of the newest biological and technological advances in insect pest management into activities supporting the sustainability and profitability of fruit production. His main areas of interest include integrated pest management, insecticide resistance management and conservation of beneficial insects and pollinators. He authored and co-authored multiple outreach and research publications related to evaluations of organic fruit production, exploration of mating disruption tactics and assessment of alternative management practices. He frequently presents at national and international conferences and received multiple awards for his scientific contributions.

Since the 2010 season, Dr. Krawczyk activities are targeting the development of effective management methods to combat an invasive insect pest, brown marmorated stink bug. He participated in the development of practical insecticide based BMSB management methods and alternative tools such as threshold-based treatments, “attract and kill” tactics and intensive pest monitoring practices to reduce or eliminate the excessive use of insecticides to manage BMSB. The results of his research are being immediately delivered directly to farmers through the web-based updates and extension and research publications. As part of his international activities since the fall of 2016, Dr. Krawczyk is cooperating directly with the researchers and specialists from the Republic of Georgia in assessing and defining the best options to mitigate the impact of BMSB on the Georgian agriculture.